„Watchdog“ დავასუფთაოთ საქართველო - სამოქალაქო საზოგადოებრივი მონიტორინგის ქსელი

ქსელი შექმნილია „დავასუფთაოთ საქართველოს“ კამპანიის ფარგლებში

მოქმედების გეგმა

I. შესავალი

ქსელის შექმნის აუცილებლობა გამოწვეულია იმ ინფორმაციების ნაკადიდან რაც შემოდის პროექტის "დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში" განმახორციელებელ ჯგუფში და მოითხოვს რეაგირებას არასამთავრობო ორგანიზაციების კონსორციუმიდან და სხვა პარტნიორი ორგანიზაციებიდან (აღსანიშნავია, რომ პროექტით არ იყო გათვალისწინებული გამართული „Watchdog“-ის ქსელის შექმნის აუცილებლობა და შესაბამისად ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული ქსელის ოპერატორის სამუშაოები, იქედან გამომდინარე, რომ მწვანეთა მოძრაობა /დედამიწის მეგობრები თავისი საქმიანობით თვითონ არის „watchdog“ ორგანიზაცია და დაფუძნებულია წევრობაზე და ტრადიციულად მუშაობს რეგიონებში თავისი წევრებიდან ინფორმაციის შეგროვების სისტემაზე და შემდგომ რეაგირებაზე, ანუ ახორციელებს საზოგადოებრივ მონიტორინგს სისტემისთვის დამახასიათებელ ქმედებებს და შემდგომ ლობირებას გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე. („დავასუფთავოთ მსოფლიოს“ დღეებში ეს წარმატებით იყო განხორციელებული.)

დღეს პროექტის "დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში" განვითარებისათვის დადგა აუცილებლობა შემუშავდეს სამოქალაქო საზოგადოებრივი მონიტორინგის ქსელის მოქმედების გეგმა რაც განუყოფილი ნაწილია „დავასუფთაოთ საქართველო“-ს კამპანიის.

II. „Watchdog“-ის სტრატეგიული ამოცანები და გრძელვადიანი ხედვა

ამ ქსელის არსებობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს:

- სამოქალაქო საზოგადოებაში მოთხოვნილების გაჩენა ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვაზე (3R)
- მოსახლეობის თვითშეგნების გაზრდა
- სამოქალაქო საზოგადოების უფლებების დაცვა - იცხოვროს სუფთა, უვნებელ გარემოში

III. „Watchdog“-ის სტრატეგიული მიზნები, ქმედებები და მოსალოდნელი შედეგები

სტრატეგიული მიზანი 1. „Watchdog“-ის დავასუფთაოთ საქართველო - სამოქალაქო საზოგადოებრივი მონიტორინგის ქსელის ჩამოყალიბება

მიმართულება 1.1. სამოქალაქო საზოგადოებრივი მონიტორინგის ქსელის ჩამოყალიბება

ქმედება 1.1.1. ინფორმაციის გავრცელება სისტემატიურად „Watchdog“ დავასუფთაოთ საქართველო სამოქალაქო საზოგადოებრივი მონიტორინგის ქსელის შესახებ

ქმედება 1.1.2. ქსელში ჩართული არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის შექმნა

ქმედება 1.1.3. „Watchdog“-ის დავასუფთაოთ საქართველო - სამოქალაქო საზოგადოებრივი მონიტორინგის ქსელის ჩამოყალიბების და ფუნქციონირების შესახებ საინფორმაციო- მედია საშუალებების მეშვეობით ინფორმაციის გავრცელელება.

მოსალოდნელი შედეგი- **საზოგადოებრივი მონიტორინგის სისტემის შექმნა**

სტრატეგიული მიზანი 2. სტიქიური და უკანონო ნაგავსაყრელების გამოვლენა

მიმართულება 2.1. სამოქალაქო საზოგადოებიდან და სხვადასხვა ჯგუფებიდან ინფორმაციების მიღება და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება

ქმედება 2.1.1. ტელეფონის „ცხელი ხაზი“ -ს გააქტიურება მოქალაქეების ზარებისთვის [1]

ქმედება 2.1.2. საიტზე რეგიონების მიხედვით განთავსდება კოორდინატორების გვარები და მათი საკონტაქტო მონაცემები[2]

ქმედება 2.1.3. გაზეთ „კვირის პალიტრაში“ ანკეტის განთავსება რუბრიკით „ გაიტანეთ ნაგავი !... “[3]

მოსალოდნელი შედეგი **- სტიქიურ და უკანონო ნაგავსაყრელებზე ინფორმაციის მიღება**

სტრატეგიული მიზანი 2. მიღებულ ინფორმაციებზე რეაგირება სამოქალაქო საზოგადოებრივი მონიტორინგის ქსელის მიერ

მიმართულება 2.1. ინფორმაციის მიღება-დამუშავება-გავრცელება

ქმედება 2.1.1. დაბინძურებული ტერიტორიებზე შემოსული ინფარმაციის დაზუსტება (მისამართის გადამოწმება)

ქმედება 2.1.2. შემოსული ინფორმაციის გადამოწმება პროექტის რეგიონული კორდინატორების მიერ - შესაბამისი კითხვარის შევსება, სურათების გადაღება

1 გამოყოფილია ცხელი ხაზი +995 790 532600 რომელზეც შეუძლია მოქალაქეს დარეკოს (ინფორმაცია ცხელი ხაზის შესახებ პერიოდულად ვრცელდება საზოგადოებრივი ქსელებით)
2. საიტი მოითხოვს გადაკეთებას - დაემატება ღილაკი კოორდინატორებისთვის
3. ეს არის შეტყობინება-ანკეტა საცხოვრებელ სახლთან განთავსებული ნარჩენების შესახებ

ქმედება 2.1.3.	ინფორმაციის საიტზე განთავსება
ქმედება 2.1.4.	საინფორმაციო საშუალებებით ინფორმაციის გავრცელება
ქმედება 2.1.5.	სამოქალაქო საზოგადოებრივი მონიტორინგის ქსელის წევრებს შორის გავრცელება

მოსალოდნელი შედეგი **- საზოგადოებისთვის სწორი გადამოწმებული ინფორმაციის მიწოდება**

მიმართულება 2.2.	მიღებულ ინფორმაციაზე სწორი რეაგირების მექანიზმების შემუშავება
ქმედება 2.2.1.	რეაგირების გეგმის შემუშავება
ქმედება 2.2.2.	გადაწყვეტილებების მიმღებ პირზე წერილის მომზადება და გაგზავნა

მოსალოდნელი შედეგი **- საზოგადოებისთვის სწორი გადამოწმებული ინფორმაციის მიწოდება**

სტრატეგიული მიზანი 3. გამოვლენილი ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიების შემცირება

მიმართულება 3.1	Watchdog- სამოქალაქო საზოგადოებრივი მონიტორინგის ქსელის მიერ მიღებული ინფორმაციების შედეგად დაბინძურებულ ტერიტორიებზე გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება
ქმედება 3.1.1	დაბინძურებულ ტერიტორიებზე მოხალისეების მობილიზაციით აქციების მომზადება და ჩატარება
ქმედება 3.1.2	დაბინძურებული ტერიტორიის გაწმენდა კომუნალური სამსახურების მეშვეობით (იქ სადაც მოხალისეები ვერ მოერევიან)
ქმედება 3.1.3	გაწმენდილი ტერიტორიების ინტერაქტიულ რუკაზე ასახვა

მოსალოდნელი შედეგი **- საქართველოში ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიების შემცირება**

სტრატეგიული მიზანი 4. მონიტორინგის განხორციელება რეაგირებაზე

მიმართულება 4.1	განხორციელებულ ქმედებებზე მონიტორინგის წარმოება და ანალიზი მათ ეფექტურობაზე
ქმედება 4.1. 1	კოორდინატორების დახმარებით დასუფთავების სამუშაოების დაფიქსირება
ქმედება 4.1. 2	ინფორმაციის მიღება და განთავსება ვებ-გვერდზე
ქმედება 4.1. 3	შეხვედრების ორგანიზება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან

ქმედება 4.1. 4 საინფორმაციო დაფების მომზადება მოწოდებით „არ დაყარო ნაგავი“; „შეაგროვე ცალკე - დაახარისხე“; „გამოიყენე მეორედ“; „გადაამუშავე“ „ძველ ნივთს - ახალი სიცოცხლე“ და ა.შ.

მოსალოდნელი შედეგი- **სწორი, ეფექტური ქმედებების განხორციელება დაბინძურებული ტერიტორიების შემცირების მიზნით**

სტრატეგიული მიზანი 5. საიტზე „watchdog -სამოქალაქო საზოგადოებრივი მონიტორინგის ქსელის განთავსება

მიმართულება 5.1 სამოქალაქო საზოგადოებრივი მონიტორინგის ქსელის პოპულარიზაცია და მისი ქმედითუნარიანობის გაზრდა

ქმედება 5.1.1 სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის შეგროვება

ქმედება 5.1.2 ქსელის გაფართოვება „ახალი“ ორგანიზაციების და ჯგუფების ჩართვით

მოსალოდნელი შედეგი- **სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელში ჩართვა**

„Watchdog“ დავასუფთაოთ საქართველო - სამოქალაქო საზოგადოებრივ მონიტორინგს ქსელის მოქმედების სქემა